

რა არის აუდიტი

საქართველოს კონტროლის პალატა ატარებს ფინანსურ, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტს.

ფინანსური აუდიტი მოიცავს:

- აუდიტის ობიექტების ფინანსური ანგარიშგების შემოწმებას, რაც მოიცავს ფინანსური ოპერაციების შემოწმებასა და შეფასებას, და ფინანსურ ანგარიშგებზე მოსაზრების გამოთქმას;
- მთლიანობაში მთავრობის ფინანსური ანგარიშგებულების შემოწმებას;
- ფინანსური სისტემების და ოპერაციების აუდიტს, კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასების ჩათვლით.
- შიდა აუდიტის ფუნქციებისა და შიდა კონტროლის სისტემის აუდიტს
- აუდიტის ობიექტში მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების სისწორის და სამართლიანობის აუდიტს; და
- აუდიტის პროცესიდან წარმოშობილ იმ საკითხების მოხსენებას, რომლებსაც კონტროლის პალატა საჭიროდ მიიჩნევს.

ფინანსური აუდიტის შედეგად კონტროლის პალატა გამოთქვამს მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რამდენად სამართლიანად და ზუსტად ასახავს ფინანსური ანგარიშგება ფინანსურ მდგომარეობას და შედეგს.

შესაბამისობის აუდიტის შედეგად კონტროლის პალატა გამოთქვამს მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის საქმიანობა კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს. მისი მიზანია სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი;

ეფექტიანობის აუდიტისას აუდიტორი ამოწმებს აუდიტის ობიექტის საქმიანობის ეკონომიურობას, შედეგობრიობასა და მიზანშეწონილობას. აუდიტის მიზანია უზრუნველყოს ინფორმაცია სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების ქონების მართვასა და რესურსების მოხმარებაზე.

ეკონომიურობის, შედეგობრიობის და მიზანშეწონილობის ანალიზი და შეფასება მოიცავს:

- ადმინისტრაციული ღონისძიებების **ეკონომიურობის** (economy) აუდიტს, ადმინისტრაციული პრინციპებისა და არსებული სტანდარტების, და მენეჯმენტის პოლიტიკის შესაბამისად;
- ადამიანური, ფინანსური და სხვა რესურსების **შედეგობრიობის** (efficiency) აუდიტს, მოიცავს ინფორმაციული სისტემების, ორგანიზაციის საქმიანობის, კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების შესწავლას, იმისათვის რომ აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებები.
- აუდიტის ობიექტის საქმიანობის **მიზანშეწონილობის** (effectiveness) აუდიტს, მიღწეულ მიზნებთან მიმართებაში, და მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ფაქტიური შედეგის აუდიტი, მოსალოდნელ შედეგთან შედარებით.

აუდიტის ეტაპები

აუდიტი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- აუდიტის დაგეგმვის ეტაპი, რომლის დროსაც ისეთი აუდიტორული სტრატეგია შემუშავდება, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი, საკმარისი და სარწმუნო აუდიტორული მტკიცებულებების შეგროვებას რათა შესაძლებელი გახდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე აზრის გამოთქმა. ამ ეტაპზე ხდება აუდიტის გეგმის და დეტალური აუდიტის პროგრამის შემუშავება. ადეკვატური დაგეგმვა ხელს უწყობს სამუშაოთა სათანადო განაწილებას გარიგების შემსრულებელი ორგანიზაციის წევრებზე განსაზღვრული დროის განმავლობაში. აუდიტორმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია აუდიტის ობიექტის გარემოსა და ოპერაციების შესახებ, აგრეთვე შიდა

კონტროლის სისტემების შესახებ, რომ შეაფასოს არსებითი შეცდომების რისკი ფინანსურ ანგარიშგებაში. კონტროლის პალატის აუდიტის დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მიდგომას და მოიცავს განსაზღვრულ აუდიტორულ რწმუნებულებას (98%);

- აუდიტორული მტკიცებულებების შეგროვების ეტაპის დროს ხდება შესაბამისი, საკმარისი და სარწმუნო მტკიცებულებების შეგროვება და შეჯამება რათა შესაძლებელი გახდეს აუდიტორული მოსაზრების გამოთქმა. აუდიტორული მტკიცებულებების შეგროვება შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების და აუდიტორული პროცედურების გამოყენებით;
- აუდიტის დასკვნის ეტაპის დროს ფასდება მიღებული შედეგები, ჯამდება გამოვლენილი ფაქტები, კეთდება დასკვნები, მზადდება რეკომენდაციები გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მზადდება და მტკიცდება აუდიტორული დასკვნა.

საქართველოს კონტროლის პალატა აუდიტს წარმართავს უმაღლესი საერთაშორისო აუდიტორულ ორგანოთა სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. მათზე დაყრდნობით პალატა ახორციელებს რისკზე დაფუძნებულ აუდიტს და აუდიტორულ რისკს იმისა, რომ აუდიტის დროს შეუმჩნეველი დარჩება არსებითი უზუსტობები, პალატა განსაზღვრავს 2 %-ის ოდენობით.

კონტროლის პალატა ცალ-ცალკე გამოთქვამს შემდეგი სახის მოსაზრებებს ფინანსურ ანგარიშგებაზე და ობიექტის საქმიანობის კანონთან შესაბამისობის კუთხით:

- **უპირობოდ** აუდიტორული დასკვნა მხოლოდ მაშინ უნდა გამოითქვას, როდესაც აუდიტორი დასკვნის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისი (ან ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია სამართლიანად ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით), ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი ჩარჩოების შესაბამისად.
- **პირობითი** დასკვნის დროს აუდიტორი მიიჩნევს, რომ უპირობო დასკვნის გაცემა არ შეიძლება, მაგრამ ხელმძღვანელობასთან უთანხმოების ან აუდიტის მასშტაბის შეზღუდვის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე იმდენად არსებითი და ყოვლისმომცველი არ არის, რომ საჭირო იყოს უარყოფითი დასკვნის გაცემა, ან დასკვნაში უარი გაცხადება მოსაზრების გამოთქმაზე.
- **უარყოფითი დასკვნა** იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტორისა და ხელმძღვანელობის უთანხმოების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე იმდენად არსებითი და ყოვლისმომცველია, რომ, აუდიტორის აზრით, პირობითი დასკვნით ადეკვატურად ვერ აიხსნება მცდარად ან არასრულყოფილად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების ხასიათი.
- **უარი მოსაზრების გამოთქმაზე** აუდიტორის მიერ ფიქსირდება მაშინ, როდესაც შეზღუდვების შესაძლო ეფექტი არის იმდენად არსებითი და მრავლისმომცველი, რომ აუდიტორმა ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება და შესაბამისად შეუძლებელია მოსაზრების გამოთქმას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტის ხარისხის კონტროლი

ხარისხის კონტროლის მიზანია დანერგოს კონტროლის პროცედურები თითოეული აუდიტის ობიექტის შემოწმების დონეზე, რათა მიღებულ იქნას საკმარისი რწმუნება, რომ:

- ჩატარებული აუდიტი შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან
- აუდიტორული დასკვნა შეესაბამება ფაქტობრივად არსებულ გარემოებებს.

აუდიტის ობიექტები:

საქართველოს კონსტიტუციითა და “საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად კონტროლის პალატა ამოწმებს:

- საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებას;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების პროექტების შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობასა და კანონიერებას;
- სახელმწიფო ვალის ფორმირებასა და მართვას, სახელმწიფო კრედიტების გაცემას;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;
- საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოში რეგისტრირებულ საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობის კანონიერებას;
- საქართველოს დიპლომატიური სამსახურის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირების სახსრებისა და ქონების ხარჯვასა და გამოყენებას;
- სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების მართვასა და განკარგვას;
- კერძო სამართლის სუბიექტის იმ სახელშეკრულებო ვალდებულებასა და სესხს, რომლის გარანტიად დგას სახელმწიფო.